№2480 2015 წლის 19 ნოემბერი ქ. თბილისი

ევროპის საბჭოსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების საფუძველზე, მოწონებულ იქნეს ევროპის საბჭოსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო დოკუმენტში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან საგრანტო დოკუმენტის მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდეგ, გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**